იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ქალი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი.


№ 3 (121)

მარტი,


1965 წელი

საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფი

1965 წლის 18 მარტი — ამ დღეს პირველად განხორციელდა ადამიანის გამოსვლა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში



პავლე ივანეს-ძე ბელიაევი



ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი

კოსმოსს იპყრობენ ჩვენი გმირი კოსმონავტები

მთელი მსოფლიო კვლავ გააოცა და აღაფრთოვანა საბჭოთა ხალხის ახალმა გამარჯვებამ კოსმოსის დაუფლებაში.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „ვოსხოდ-2“, რომელსაც მართავდნენ პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი, დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილ იქნა 1965 წლის 18 მარტს. ხომალდის ფრენის დროს კოსმონავტი ალექსი ლეონოვი გამოვიდა ხომალდიდან, შეასრულა დასახული მეცნიერული დაკვირვებანი კოსმოსში და დაბრუნდა ხომალდში.

კოსმოსში ადამიანის გასვლისა და მისი დაბრუნების განსახორციელებლად ხომალდი „ვოსხოდ-2“ აღჭურვილი იყო სპეციალური რთული ტექნიკური მოწყობილობით. ხომალდის მეთაური კოსმონავტი მფრინავი პავლე ბელიაევი ექსპერიმენტის დროს ახორციელებდა კოსმოსში გასვლის აპარატურის მართვას, თვალყურს ადევნებდა ალექსი ლეონოვის მდგომარეობას და დამყარებული ჰქონდა მასთან განუწყვეტელი კავშირი. უზრუნველყოფდა კოსმოსურ სივრცეში ამ უმაგალითო ცდის შესრულების უსაშიშროებას. კოსმოსური სივრცის პირობებში კოსმონავტ ალექსი ლეონოვის ყოფნა გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთს, აქედან ხომალდის გარეთ 10 წუთს.

ამრიგად, ხომალდ „ვოსხოდ-2“-ის ფრენის დროს ისტორიაში პირველად განხორციელდა ადამიანის გამოსვლა კოსმოსური ხომალდიდან უშუალოდ კოსმოსში.

კოსმოსურმა ხომალდმა „ვოსხოდ-2“ 20 საათის განმავლობაში 17-ჯერ და მეტჯერ შემოუარა დედამიწას, გაიარა 720 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი და განახორციელა საბჭოთა მიწაზე დაშვება პერმის რაიონში. მთელი ფრენის დროს ხომალდის ყველა სისტემა, მოწყობილობა და აპარატურა ნორმალურად და უნაკლოდ მუშაობდა. ხომალდის ეკიპაჟის წინაშე დასახული ამოცანები მთლიანად შესრულდა.

კოსმოსში ადამიანის გასვლა, რაც მოხდა ხომალდის „ვოსხოდის-2“ ფრენის დროს, იწყებს ახალ ერას კოსმოსური სივრცის ათვისებაში. ამ უმაგალითო ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ადამიანმა არა მარტო იფრინოს კოსმოსური ხომალდების შიგნით, არამედ აქტიურად იმოქმედოს კოსმოსურ სივრცეში, აწარმოოს დაკვირვებანი და სხვა ოპერაციები, — ერთი სიტყვით, იმუშაოს კოსმოსში. ეს ქმნის რეალურ წანამძღვრებს იმისათვის, რომ გადაიჭრას ყველა რთული ამოცანა, კერძოდ, მოხდეს გაფრენა და გადასხმა მთვარესა და მზის სისტემის სხვა პლანეტებზე.



საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში.
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი რ. სტურუა.

საპატიო წოდებათა მინიჭება

ქალთა საერთაშორისო დღესთან — 8 მარტთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის მოწინავე ქალთა დიდ ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის. დამსახურებული ბიბლიოთეკარის, დამსახურებული ეკონომისტის, დამსახურებული ექიმის, დამსახურებული პროვიზორის, დამსახურებული ინჟინრის, დამსახურებული იურისტის, დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სულ საპატიო წოდება მიანიჭა 273 ქალს.

გამოვიდა ოპერის პარტიტურა

რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა დიდი ქართველი კომპოზიტორის **ზაქარია ფალიაშვილის** ოპერა **„აბესალომ და ეთერის“** პარტიტურა.

რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა კომისია ოპერის კლავირისა და პარტიტურის მოსამზადებლად. კომისიამ, რომელშიც ქართული მუსიკალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები შედიოდნენ, ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. ამ მუშაობის შედეგია, რომ დღეს უკვე გვაქვს „აბესალომ და ეთერის“ კლავირის (იგი ორი წლის წინათ გამოვიდა) და პარტიტურის საუკეთესო გამოცემები.

მეგობრობის ფურცელი

ვილნიუსში, ლიტვურ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა ცნობილი ლიტველი მწერლის ანტანას ვენუოლისის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური ლეგენდა „დაწყევლილი ბერები“.

ვენუოლისი 1909 წელს ნამყოფია საქართველოში, საერთოდ კავკასიაში. ეს ლეგენდა, სხვა თქმულებებთან ერთად, არაერთგზის იყო გამოქვეყნებული ლიტვაში.

„დაწყევლილი ბერების“ ახალი გამოცემა უხვად არის დასურათებული ლიტველი მხატვრის ზიგუტი ვალიუვიენეს მიერ. წიგნი გამოცემულია დიდი ფორმატით (60×90 სმ.). სულ 35 გვერდს შეიცავს. აქედან 15 გვერდი დათმობილი აქვს ილუსტრაციებსა და გაფორმებას. ასე რომ, მხატვარი ამ ლეგენდის თითქმის სრულ ფერწერულ ვარიანტს წარმოგვიდგენს.

ბალტიისპირეთის სურათოვანი წიგნი კიდევ ერთი მშვენიერი ფურცელია ქართულ-ლიტვური ლიტერატურისა და ხელოვნების ურთიერთობის ისტორიაში.

წერილი სპრაგფორდიდან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკის და ტელემექანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში ვახტანგ ჭიჭინაძემ ამას წინათ წერილი მიიღო ქალაქ სტრატფორდიდან. ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი პროფესორი კალმანი თავის ქართველ კოლეგას ულოცავს დიდ წარმატებებს ავტომატური მართვის თეორიის დამუშავებაში. კალმანი წერს, რომ დიდი ინტერესით გაეცნო ქართველი მეცნიერის ნაშრომს.

პროფესორ კალმანს ვახტანგ ჭიჭინაძე შეხვდა რომის, შემდეგ ბაზელის საერთაშორისო ფორუმებზე, სადაც ეს უკანასკნელი გამოვიდა მოხსენებით ავტომატური მართვის საკითხებზე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დახმარებით.

ქართველი სპეციალისტის შრომებმა ფართო დაინტერესება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო და პრობლემურ ლაბორატორიებში.

ქართველ მეცნიერთა სტუმარი



ამას წინათ თბილისში სტუმრად იყო ცნობილი ქართველოლოგი, მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი იულიუს ასფალგი. იგი ქართველ მეცნიერებს შეხვდა და მეგობრული, საქმიანი საუბარი ჰქონდა მათთან ქართველოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ სურათზე, რომელიც გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო, თქვენ ხედავთ იულიუს ასფალგს სტუმრად ცნობილ ქართველ ენათმეცნიერთან — აკადემიკოს აკაკი შანიძესთან.

საქართველოს გაზაფხული

გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

◆

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ისევე როგორც ყოველი სხვა ხალხის ისტორიაში, არის დაუვიწყარი თარიღები. ზოგის მოგონება ტკივილს გვგვრის: თვალწინ წარმოგვიდგება დანგრეული და გაპარტახებული ჩვენი ქვეყანა, ქართველი მეომრების გაფთრებული ბრძოლები უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სხვა თარიღების მოგონება გულს აღავსებს სითბოთი, სიხარულით, სიამაყით. ასეთ განსაკუთრებით სასიხარულო თარიღებს შორის არის 1921 წლის 25 თებერვალი, დღე, რომელმაც საქართველოს მოუტანა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერება. ეს არის დღე, როცა ქართველმა ხალხმა თავისი უძველესი მეგობრის — დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

44 წელი გავიდა ამ სამახსოვრო დღიდან და ქართველი ხალხი, განვლილ გზას რომ იგონებს, უდიდესი სიხარულით აღნიშნავს სახელოვან გამარჯვებებს, რომლებსაც მიაღწია კომუნიზმის მშენებლობაში, აჯამებს იმ მუშაობის შედეგებს, რომლებიც ამ პერიოდში განახორციელა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მრავალგზის არის ნათქვამი, თუ რას მიაღწია საქართველომ დროის ამ მცირე მონაკვეთში. ქართველი ხალხის წარმატებებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, აგრარული განაპირა მხარე აყვავებულ რესპუბლიკად გადააქცია, რომელსაც აქვს მოწინავე მრეწველობა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა.

არ არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის არცერთი დარგი, რომელსაც ამ წლების მანძილზე ძირეული ცვლილებები არ განეცადოს.

მაგალითად, 1913 წელს საქართველოში იყო 200-მდე წვრილი კუსტარული სამრეწველო საწარმო, სადაც მუშაობდა დაახლოებით 10 ათასი მუშა, გამომუშავებული იყო 20 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მოპოვებული — 70 ათასი ტონა ქვანახშირი, გამოშვებული — რამდენიმე ათეული ათასი წყვილი ფეხსაცმელი, რამდენიმე ათეული ათასი მეტრი ქსოვილი და მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა პროდუქცია.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა საქართველო მძლავრი მძიმე ინდუსტრიის, დიდად განვითარებული მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის რესპუბლიკაა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, თბილისის ჩარხსამშენებლო და ელმავალსამშენებლო ქარხნები, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობსახდელი ქარხანა, აგრეთვე ათასობით ქიმიური, ცემენტის, მანქანათსამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებლო, ჩაის, აბრეშუმსახვევი და აბრეშუმსაქსოვი, სამკერვალო, ბამბის, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, ღვინის, კონსერვებისა და მძიმე, მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის სხვა საწარმო.

ახლა რესპუბლიკაში ყოველდღე იმუშავებენ თითქმის იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც მთელ 1913 წელს.

ერთ სულ მოსახლეზე თუჯის გამოდნობის მხრივ საქართველომ გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან იაპონია, იტალია, და სხვები, ხოლო ფოლადს ადნობს მეტს, ვიდრე შვეიცარია, ნორვეგია და თურქეთი ერთად. რესპუბლიკაში იმუშავებენ 10-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთში, რომლის ტერიტორია 11-ჯერ მეტია საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი რესპუბლიკა ყოველწლიურად უშვებს ათასზე მეტ სატვირთო ავტომანქანას, მილიონობით ტონა მანგანუმის მადანს, ქვანახშირს. მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრალური მძიმე ელმავლების წარმოება ჩვენში შედარებით ცოტა ხნის წინათ — 1958 წელს დაიწყო, საქართველომ ელმავლების წარმოების მხრივ საფრანგეთს გაუსწრო.

საქართველოში ყოველწლიურად აწარმოებენ 11 მილიონამდე წყვილ ფეხსაცმელს; 55-ჯერ მეტს, ვიდრე 1927-1928 წლებში, 22 მილიონ მეტრზე მეტ აბრეშუმის ქსოვილებს, 300-ჯერ მეტს, ვიდრე 1927-1928 წლებში, თითქმის 10 მილიონ ლიტრ ღვინოს, 200 მილიონზე მეტ პირობით ქილა კონსერვს. 50 მილიონამდე მეტრ ბამბისა და 5 მილიონ მეტრზე მეტ შალის ქსოვილებს და სხვ. მრეწველობის ასეთმა განვითარებამ საშუალება მისცა საქართველოს აქ გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი გაგზავნოს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

ახლა საქართველოს მრეწველობის პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთის თითქმის 70 ქვეყანაში.

წლითიწლობით იზრდება საექსპორტო პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტი. საქართველოდან საზღვარგარეთ იგზავნება 200-ზე მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქცია.

საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ის უდიდესი ცვლილებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში; შეიქმნა სულ ახალი დარგები, რომლებიც გვაძლევენ სოფლის მეურნეობის ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიც არის: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, დაფნის ფოთოლი, თამბაქო და სხვა. ახლა ჩაის პლანტაციებს უჭირავს 60 ათასამდე ჰექტარი, ნაცვლად 1920 წლის 1.000 ჰექტარისა, ციტრუსოვანთა პლანტაციებს — 10 ათას ჰექტარზე მეტი, ნაცვლად 400 ჰექტარისა, ვენახების ფართობი შეადგენს 90 ათას ჰექტარზე მეტს, ნაცვლად 36 ათასი ჰექტარისა და სხვ.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მეჩაიეებმა. მარტო შარშან მათ მოკრიფეს 184 ათასზე მეტი ტონა ჩაი, მაშინ როცა 1921 წელს ჩაის საერთო მოსავალი 550 ტონას შეადგენდა.


სერიოზული წარმატებები აქვთ ქართველ მევენახეებს, მეციტრუსეებს, მეთამბაქოეებს, მებაღეებს, მეცხოველეებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად აყვავდა ქართული ეროვნული კულტურა, რომელსაც მდიდარი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს. რესპუბლიკა დაიფარა სამკურნალო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით.

ახლა საქართველოში არის თითქმის 5 ათასი სასწავლებელი, რომლებშიც მილიონზე მეტი მოსწავლე სწავლობს. მათ შორის არის დაახლოებით 100 ტექნიკუმი და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებელი, 18 უმაღლესი სასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა, ტექნიკუმებმა და სხვა საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 400 ათასამდე სპეციალისტი. ყოველ 1.000 მცხოვრებზე საქართველოში მოდის 38 უმაღლესი განათლების და 315 საშუალო განათლების მჭონე.

(დასასრული მე-4 გვ.)



რესპუბლიკაში ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა ქალაქ ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა. ამ ქარხანაში დამზადებული სატვირთო ავტომანქანები — თვითმცლელები ფართოდ არის ცნობილი როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

სურათზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი საამწყობო კონვეიერი.

საქართველოს გაზაფხული

(დასასრული.)

ქართული და მთელი საბჭოთა კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ ქართველ მწერლებს, პოეტებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, კინოს მუშაკებსა და ხელოვნების სხვა დარგების მუშაკებს, რომელთა ნაწარმოებებმა მტკიცედ დაიკავა ადგილი საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ბევრი ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრის მოწონება დაიმსახურეს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1966 წელს მოეწყოს გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი. ეს შესაძლებლობას მისცემს ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ერთხელ უჩვენოს მთელ მსოფლიოს არა მარტო რუსთაველის სიდიადე, არამედ ის უდიდესი წარმატებებიც, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თავისი ისტორიის, თავისი კულტურის შესწავლაში; უჩვენოს ქართული საბჭოთა კულტურის დიდი აყვავება.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გაწეულია უდიდესი მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ახლა ჩვენში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას ათასობით ექიმი — საშუალოდ ერთი ექიმი მოდის 300 მცხოვრებზე და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ერთი სპეციალისტი 150 მცხოვრებზე.

ქართველ ხალხს ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირის ძალა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობაა, და ყოველთვის განამტკიცებს და განავითარებს სამუდამოდ შედუღაბებულ ამ მეგობრობას. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით ქართველი ხალხი კვლავაც დაუცხრომლად იშრომებს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.



ქუთაისის აბრეშუმკომბინატის პირველ საამქროში ერთ-ერთ ავტომატურ დაზგაზე დადგეს პატარა ხელსაწყო. მქსოველი გააფრთხილეს, რომ დაზგა დამოუკიდებლად იმუშავებს. აი მაქოში თითქმის თავდება მისაქსელი ძაფი. მექანიზმმა ავტომატურად ამოიღო მაქოდან მასრა და სავსე მასრა ჩადო. ამ ოპერაციას წამის მეათედიც კი არ დაჭირდა და დაზგა არ გაჩერებულა. ასე გრძელდებოდა მთელი ცვლის განმავლობაში. ეს შესანიშნავი მექანიზმი — ფოტოელექტრონული კონტროლიორი შექმნა ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერთა ჯგუფმა.

სურათზე: ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები ამოწმებენ ფოტოელემენტის სტაბილურ მუშაობას.

დღევანდელი ჩემი გასაუბრება იმ თანამემამულეებთან, რომლებიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში უცხოეთში ერთად ცხოვრების პერიოდში მიცნობდნენ, შეიძლება ზოგიერთს ნაადრევიც კი მოეჩვენოს. საქართველოში გატარებული დღეების შთაბეჭდილებანი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ გაჩუმება უკვე ახლა დანაშაული იქნებოდა. მაგრამ ამ წერილს მარტო ჩემი პირადი ნაცნობებისათვის როდი ვწერ. იგი თანაბრად ეხება ყველა გარექართველს, რომელიც რაიმე მიზეზის გამო სამშობლოს მოწყვეტილა და უცხოეთში აღმებს თავის დღესა და წუთისოფელს. ამიტომაც ზოგიერთ რამეს ჩემი ბიოგრაფიიდანაც გავიხსენებ.

სამამულო ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, ჯერ სახალხო განათლების ხაზით, შემდეგ კი სავაჭრო დარგში ვმუშაობდი. როგორც სპეციალისტს, კარგი თანამდებობები მეკავა და ცხოვრებას არ ვემდუროდი. ომი რომ დაიწყო, მე და ჩემი ვაჟი ერთ დღეს გავგიწვიეს ჯარში. უკვე 1942 წელს, ქერჩისათვის წარმოებული ბრძოლების დროს დავიჭერი და ტყვედ ჩავვარდი. 1943 წლიდან ბერლინში ვცხოვრობდი, შემდეგ კი 1947 წლამდე იტალიაში წვრილმანი ვაჭრობით, ხშირად კი ფიზიკური მუშაობით ვირჩენდი თავს. 1947 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში გადავედი და სამშობლოში დაბრუნებამდე — მთელი 18 წლის განმავლობაში მაწვნის წარმოებაში პრეპარატორად და ბენზინის გამყიდველად ვმუშაობდი.

ხშირად, როცა ამის საშუალება გვეძლეოდა, საფრანგეთში გადახვეწილი ქართველები ერთად ვიყრიდით თავს და სამშობლოზე ვოცნებობდით. ბევრ ჩემს თანამემამულეს უცხოეთში ცოლშვილი ჰყავს, პატარა საკუთრებაც გააჩნია და მათ ერთ-ერთ საზრუნავს, რა თქმა უნდა, ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრი შეადგენს. მე კი რა მაკავშირებდა უცხოეთთან? არაფერი. ახალი ოჯახის შექმნა მე არ ვისურვე, ძველთან კავშირის დამყარებისა კი მეშინოდა. მეშინოდა, მაგრამ მაინც მასზე ვფიქრობდი, მასზე ვოცნებობდი. გამოსავალი კი ვერ მოვნახე.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი 1961 წლამდე, სანამ გაზეთ „სამშობლოს ხმაში“ არ წავიკითხე ჩემი ვაჟის განცხადება. იგი მე მეძებდა.

ხომ გინახავთ, როგორი ადიდება იცის გაზაფხულზე კავკასიონის მაღალ მთებში დაბადებულმა მდინარეებმა! ზათქითა და ღრიალით მიექანებიან ისინი თავქვე, ძირფესვიანად გლეჯენ უზარმაზარ ხეებს, დევებივით მიაგორებენ ასფუთიან ღოდებს! თუ ასეთ დროს მარტო კაცმა მდინარეში შებედა, განწირულია დასალუპავად. ახლა მეც სწორედ ასეთი ბედი მელოდა. მშობლიურ კერაზე, დედა-სამშობლოზე ფიქრმა სხვა ყველაფერი შთანთქა ჩემში და ჩემს ირგვლივ. და მე ნამდვილად დავიხრჩობოდი, თუ ისევ სამშობლოს, მის კეთილ ადამიანებს არ გამოეწვდინათ დახმარების ხელი. მაგრამ გახა ასე ადვილი იყო ჩემთვის ამ დახმარების თხოვნა? ომის ქარცეცხლს შემთხვევით გადარჩენილი, შეშინებული შევძვერი ჩემს ნაჭუჭში და საკუთარი თავის ფიზიკურ შენარჩუნებას ვცდილობდი მხოლოდ. დიახ, სწორედ ასეა. მე ხომ სრულ დუმილში გავატარე თითქმის მთელი ოცი წელიწადი!

ვიწყებ მარტოდ-მარტო ჩემს ოთახში და დამეგხს თეთრად ვათენებდი, მდგომარეობიდან გამოსავალს ვეძებდი. ტყვედ ჩავარდნა შეიძლება მაპატიონ, ჩემი სურვილით ხომ არ ჩავბარებულვარ მტერს, სანამ შემეძლო, ვიბრძოდი, გრძნობადაკარგულს კი რაღა მომეთხოვებოდა! — ვამხნევებდი საკუთარ თავს. ჰო, ეს შეიძლება გამართლებულ იქნეს, მაგრამ მერე? რით შეიძლება გავამართლო ჩემი ოცი წლის დუმილი? მეშინოდა? კი, მეშინოდა, შიშმა წამახდინა. დარწმუნებული ვიყავი: თუ გამოვჩნდებოდი, მეც დამსჯიდნენ და ჩემი ოჯახის წევრებსაც. მაგრამ ეს ხომ წინათ იყო, რამდენიმე წლის წინათ. მას შემდეგ რამდენი ჩემი ნაცნობი დაბრუნდა საქართველოში! მათგან სისტემატურად მოდის წერილები.

ცხადია, ისინი საკუთარ ოჯახში, საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრობენ, მშობლიურ ცასა და მიწას შეჰხარიან, ამაში მე უკვე დიდი ხანია ეჭვი არ მეპარებოდა. მით უფრო გაუმართლებლად მეჩვენა ჩემი ოცი წლის დუმილი. მაინც, ვთქვათ, სამშობლომ მაპატია, ჩემი ოჯახი, ჩემი ვაჟიშვილი — აი ეს ახალგაზრდა, ვინც მე ახლა ამ გაზეთით მეძებს, ნამდვილად მაპატიებს? იქნებ ეს მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით გააკეთა? იქნებ მისთვის სჯობდა კიდეც ფრონტზე დავღუპულიყავი?

კითხვები, კითხვები, კითხვები...

ასეთ ცეცხლში ვიწოდი რამოდენიმე დღის განმავლობაში. მერე ქართველ მეგენახეთა ჯგუფ-

ვასილ ელიზბარაშვილი

ოვნი ვარ,

მსოფლიო

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ძმურ ოჯახში საქართველომ კარგა ხანია დაიმკვიდრა ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკის ადგილი. ჩვენი საინტერესო, მდიდარი სინამდვილე თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია თავისუფალ, თავისი ბედნიერი მომავლის შემოქმედ ხალხს. ქართველმა ხალხმა დიდ წარმატებას სამეურნეო და კულტურულ ასპარეზზე მიაღწია საბჭოთა ხალხების ძმური დახმარების, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებამ, განსაკუთრებით კი მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებამ, როგორიც არის ჩარხმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ხელსაწყოთმშენებლობა ელექტროტექნიკა და სხვა, თვალსაჩინოდ გააფართოვა საქონლის ნომენკლატურა ჩვენი მრეწველობის საერთო ექსპორტში.

რესპუბლიკის 100-ზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია საექსპორტო საქონელს ამზადებს და აგზავნის საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

განსაკუთრებით ბევრ საექსპორტო საქონელს უშვებენ საქართველოს ჩარხმშენებელი, მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური საწარმოები. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მიერ დამზადებული ლითონმჭრელი ჩარხები დიდი რაოდენობით იგზავნება სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, აზიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, ფინეთში, კვიპროსზე და კიდევ მრავალ სახელმწიფოში.

დიდი მოწონებით სარგებლობს ინდოეთში, კუბაში, ვიეტნამში, პოლონეთში, მალის რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში ჩვენში დამზადებული მიწისწინა წოვი დანადგარები. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფოლადის მილების ექსპორტი რუმინეთში, ბულგარეთში, ირანში, საბერძნეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ეს პროდუქცია მზადდება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

დიდი მოთხოვნილებაა თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოების“ მიერ გამოშვებულ მაღალხარისხოვან, ზუსტ ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებზე იუგოსლავიაში, სირიაში, კუბაში, ავსტრიაში, ჩინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ევროპასა და აზიის ქვეყნებში გაიგზავნა კომფორტაბელური წყალქვეშაფრთებიანი სასეირნო ნავები. ქართველი გემთმშენებლები სრულყოფილად დაეუფლნენ „კომეტის“ ტიპის წყალქვეშაფრთებიანი სწრაფმავალი თბომავლის მშენებლობასაც, 1964 წელს ქართველმა მშენებლებმა პირველი საექსპორტო დაკვეთები მიიღეს.

მთელ მსოფლიოში ცნობილია ჭიათურის მარგანეცის უმდიდრესი საბადოები. ქართულ მარგანეც-

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲙᲕᲓᲔᲑᲘ!

შევხვდი პარიზში, გამოვეცანაურე, ჩემი გასაჭირი ვუამბე. ყურადღებით მომისმინეს, დამაიმედეს, რომ ჩემი ვაჟის შესახებაც ყველაფერს გაიგებენ.

მოკლე ხანში მივიღე ცნობები შვილისაგან. მაშინ კი საბოლოოდ გადავწყვიტე, წერილი გამოვგზავნე. პასუხი მალე დამიბრუნდა — ჩემი ოჯახი მეძახდა, ჩემი სამშობლო მიხმობდა!..

და აი, უკვე ორი თვე ხდება, რაც საქართველოში ვიმყოფები, მშობლიურ მიწაზე დავბიჯებ. მეორედ დავიბადე — მეთქი, რომ ვთქვა, სწორი არ იქნება, მე უფრო მკვდრეთით აღვსდექი. ოც წელიწადზე მეტ ხანს ვიყავი მკვდარი ჩემი ოჯახისა და ჩემი სამშობლოსათვის. ახლა კვლავ აქა ვარ, ცოცხალი ვარ და ჩემზე ბედნიერი კაცი სხვა არ მეგულება ამ ქვეყანაზე.

ახლა ჩემს ვაჟიშვილთან ვცხოვრობ თბილისში, პავლოვის ქუჩაზე, ოთხოთახიან მყუდრო ბინაში.

ჩემი გიორგი მთავარ ინჟინრად მუშაობს ერთიერთ საპროექტო ინსტიტუტში, თავისი წვლილი შეაქვს ახალი საქართველოს მშენებლობაში.

მე კი...

მე საღამოობით ნათესავებსა და ძველ ნაცნობ-მეგობრებს ვნახულობ. დღისით კი თბილისის ქუჩებში დავდივარ ფეხით. ასე სჯობს, უფრო კარგად ვათვალიერებ, უფრო მეტი მამახსოვრდება. სანახავი და დასაწყვალი კი მართლაც ბევრია ჩვენს ლამაზ ქალაქში ძველიც და ახალიც.

ძველი, რაც უცხოეთში გადახვეწილ ჩემი თაობის ადამიანს შეიძლება ახსოვდეს, ეს არის ქალაქში აქა-იქ გაბნეული ეკლესიები და სამლოცველოები, რომელთა დაცვასა და მოვლა-პატრონობას ახლა უფრო მეტი ყურადღება ექცევა, როგორც ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვან ძეგლებს; ძველი — ეს არის სიონის კათედრალთან მიმდებარე პატარა რაიონი ისევე ისე ვაზივით დაგრეხილი ვიწრო ქუჩებითა და ლამაზაივნიანი სახლებით, ასე საუცხოოდ რომ ეხამება ახალ თბილისს.

ახალი თბილისი!

აქ ახალია თითქმის ყველაფერი: ინსტიტუტები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, მწვანე ხეივნიანი ქუჩები და ლარივით სწორი პროსპექტები. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, პარკები, სკვერები, მოედნები.

ახალია ჩვენი ქუჩაც. მას შეიძლება პროსპექტიც კი ეწოდოს, იმდენად ფართოა, სწორია და ლამაზი. წინათ აქ უკაცრიელი ადგილი იყო, ახლა კი უამრავი სახენათელი ადამიანი დადის და მრავალი მშუბუქი ავტომანქანა მოძრაობს.

ჩვენს ქუჩას ბევრი პარკი და ბაღი ამშვენებს. ყრთი საკმაოდ მოზრდილი პარკი ჩვენი სახლის მახლობლად მდებარეობს. მე განსაკუთრებით მიყვარს იქ სიარული. დღესაც ვიყავი იქ. დღესაც ისვე, როგორც ვუშინ, როგორც გუშინწინ, ერთი მუვა მიწა მოვჩიჩქნე და საცნობ მერხზე ჩამოვჯექი. ჩვეულებრივი შავი მიწაა, ოდნავ მონაცრისფერო. ასეთი ფერის მიწა სხვაგანაც ბევრი მინახავს. რატომღაც, გული დამწყდა, მეწყინა. რაღაც განსაკუთრებულს მოველოდი. დიდხანს ვიჯექი და ხელში შემორჩენილ მიწას ანგარიშმიუცემლად ვფშვნეტდი. უცებ რაღაც თეთრი საგანი შემრჩა ხელში. ძვალი! გულმა ბაგა-ბუგი ატეხა, ლამის მკერდიდან ამომივარდა.

მივხვდი, ვიგრძენი, გავიგე!

ამ მიწაში ჩემი მამა-პაპის ძვლებია გარეული, იგი ჩემს წინაპართა სისხლითა და ოფლითაა გაპოხიერებული! ამიტომაც არის იგი ასე ნოყიერი, ასე გულუხვი, ასე მდიდარი! ყოველ ქართველს, ნამდვილ მამულიშვილს მისთვის შეუწირავს მთელი თავისი ძალა და ენერგია. საკუთარი სიცოცხლეც კი. შეუწირავს და სამაგიერო არაფერი არ მოუთხოვია, ამითაც ბედნიერი დარჩენილა, ამით მოუპოვებია კაცური კაცის სახელი, მოუპოვებია მეორე სიცოცხლე, უკვდავებას რომ ეტოლება.

ამიტომაც არის ასე საყვარელი, ასე ძვირფასი ჩვენი ქართული მიწა — მშობლიური მიწა! ამიტომაც ისმის მისი ძახილი ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმაც.

დღეს ქართულ მიწაზე ახალი სიცოცხლე იფურჩქნება, ახალი ცხოვრება ჰყვავის. ბედნიერია მისი ხალხი, ბრწყინვალეა მისი მომავალი.

ბედნიერი ვარ მე, რომ ამ მიწაზე დავაბიჯებ, მისი სითბოთი ვთბები.



სურათზე: ვასილ ელიზბარაშვილი (ცენტრში) თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

ჩვენი მკითხველი
შეხვედრა

სერგო ნიკიფორაშვილი

კვლავ იმ ნაპირთან ტირილი მინდა

შავი ზღვის პირად ვიჯექი მარტო
და თვალზე ცრემლი მდიოდა წმინდა.
ახლა მოხუცს და თითქმის დავრდომილს
კვლავ იმ ნაპირთან ტირილი მინდა.

რა დაგიშავე ბედო — შავბედო,
მცირედიც რომ არ მომაგე კარგი,
რად დამიხურე სამშობლოს კარი
და ცხრა მთას იქით რად გადამკარგე!

ვერ შევეთვისე მე ამ უცხოეთს,
სამარტოვეს და ცხოვრებას მზაკვარს.
იქნებ ვიხილო ჩემი სამშობლო,
ბედნიერების მივაგნო გზა-კვალს!

მშობელ ქვეყანას ეკუთვნის მარად
სიცოცხლე ჩემი — ხორციც და სულიც,
საქართველოში თუ დაწყნარდება
დღემდე უმძერთოდ მშფოთვარე გული!

15 თებერვალი, 1965 წელი.

პარიზი.

ჩვენს მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო! სარედაქციო კოლეგია ყოველთვის ცდილობს, რომ გაზეთის თვითეული ნომერი უფრო საინტერესო იყოს. ამაში დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ უპირველესად თქვენ. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ და დავბეჭდავთ გაზეთის ფურცლებზე თქვენი შემოქმედების ნიმუშებს — ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, ნაბატებს, ფოტომასალას. სიამოვნებით გიპასუხებთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. გვინდა ვიცოდეთ, ყველაზე მეტად რა საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება გაზეთში.

ძვირფასი მეგობრებო! მოგვწერეთ თქვენი სურვილები, ითანამშრომლეთ გაზეთ „სამშობლოს ხმაში“.

ᲑᲐᲖᲐᲠᲒᲔ

დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ. ეს მოთხოვნილება განპირობებულია ჭიათურის მარგანეცის უმაღლესი ხარისხით, ამ ძვირფასი მადნეულის იშვიათი სამრეწველო თვისებებით. ათი ათასობით ტონა ჭიათურის მარგანეცი იგზავნება ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში და სოციალისტური ბანაკის თითქმის ყველა ქვეყანაში.

ასეთივე მოწონებით სარგებლობს საზღვარგარეთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია. ამ ქარხანაში დამზადებულ ფერომარგანეცს, მეტალურგიულ მარგანეცსა და სილიკომარგანეცს ყიდულობენ იტალიის, ჰოლანდიის, ინგლისის, ბელგიის, შვეიცარიის, ფინეთის, ავსტრიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და კაპიტალისტური სამყაროს სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების ფირმები, აგრეთვე სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები.

მსოფლიოს 25-ზე მეტ ქვეყანას ეგზავნება ასი ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ნავთობპროდუქტები, რომლებიც ჩვენში მზადდება.

საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დათმობილ ჭმელიურ საქონელსა და მედიკამენტებს.

მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი უმაღლესი ხარისხით ქართული სამარკო ღვინო, კონიაკი და შამპანური. ქართულმა ნაწარმმა საერთაშორისო გამოფენებზე, დეგუსტაციებსა და ბაზრობებზე ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. კახურ ღვინოებს „წინანდალს“, „გურჯაანს“, კონიაკ „ენისელსა“ და სხვა ქართულ სასმელებს ბევრი ჯილდო აქვთ მიღებული საერთაშორისო დათვალიერებებზე. საქართველოში გამართულმა მეცნიერთა მსოფლიო კონგრესმა ზედიზედ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს სასმელებს.

ქართული ჩაის საუცხოო თვისებები სათანადოდ დააფასა საზღვარგარეთელმა მომხმარებელმა. საქართველო მთელს მსოფლიოშია ცნობილი, როგორც ჩაის კლასიკური ქვეყანა.

ქართული თამბაქო „სამსუნი“ და „ტრაპიზონი“ თავისი ხარისხითა და არომატით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. საქართველოში დამზადებულ ასი ათასობით ტონა თამბაქოს იძენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შვეიცარია და სხვა ქვეყნები.

შემთხვევით როდი უწოდებენ საქართველოს კურორტების კუთხეს. მთელ მსოფლიოშია ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ულამაზესი კურორტების სამკურნალო მინერალური წყლები, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სახელგანთქმული მინერალური წყალი „ბორჯომი“. ახლა „ბორჯომს“ სიამოვნებით სვამენ უნგრეთში, ცეტნამში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, მონღოლეთში, იემენში, კორეასა და მრავალ სხვა ქვეყანაში...

როგორც ცნობილია, საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გამართული ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობები და გამოფენები. შარშან საქართველომ თავისი საწარმოთა პროდუქცია წარადგინა ლაიპციგის, ბუდაპეშტის, ზაგრების, პოზნანის, გენუის, პლოვდივისა და დამასკოს საერთაშორისო გამოფენებზე.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ძოვალად შეხვდებით უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც გადიან საწარმოო-ტექნიკური სწავლების კურსს, იმაღლებენ კვალიფიკაციას და იძენენ საჭირო ცოდნას, რომელსაც შემდგომ იყენებენ თავიანთ სამშობლოში.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის მძლავრი ზრდა და განვითარება უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.


რაფიელ ელიგულაშვილი,

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, სავაჭრო პალატის პრეზიდენტი.

სპეციალის სპ

№ 3, მარტი, 1965 წელი.

ᲣᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ



კონსტანტინე გამსახურდია,

მწერალი-აკადემიკოსი.

დამსხვრეული ჩონგური

...ვეღარ ვნახე შენი სახე, ვეღარ მოგისწარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი. ქარი, ქარი, ქარი...

ბავშვი თავისთავთან რიკტაფელს თამაშობდა, ყიოდა, ყიყინებდა, გაიხარებდა.

დედა ოდიშურ, რიკულებიან აივანზე ჩონგურს უკრავდა.

„გულო, აქ მოდი!“ გადასძახა დედამ.

ბიჭუნამ მიირბინა ხშირკულულიანმა. დედამ ჩონგური აივნის მოაჯირის ლინგზე დაჰკრა მეყსეულად. ბზრიალით, წკრიალით, რიალით აფრინდნენ ჰაერში ჩონგურის ფერადი სადაფები, როგორც პეპლები ქარისგან დაფეთებული.

ბავშვი შესჩქიფდა, გაოცდა, თვალის უპეები გაუფართოვდა და დედას შეაშტერდა.

დედას ცრემლები მოერია და უსიტყვო კოცნით დააშოშმინა ბალღი.

„რად ჰქენი ეს, დედიკო?“ ამოიკითხა დედამ ბავშვის განცვიფრებულ თვალებში.

„შენი მხიარული ყიყინა მეღირსა და რაღად მინდოდა ეგ მტირალა ჩონგური?!“.

ბავშვი დადუმდა. დაღონდა, მის გულში დაივანა საიდუმლომ: რისთვის დაამსხვრია ჩონგური დედიკომ?

ბავშვი წამოიზარდა. გამოჰკითხა გადიას და ძიძას.

ჩონგური უჩუქნია თურმე დედისთვის აგურისფერ ჩოხიან მამაკაცს, რომელიც მისი სიყვარულისათვის სატევრის წვერზე წამოეგო. ქალი სხვაზე გაუთხოვებიათ. ქალს უნუგეშო სიყვარულის ვარამს უქარვებდა თურმე ფერადი სადაფებით მოჭედილი ჩონგური.

დედიკო!

გვიან გავიგე ეს ყოველივე: მე ვიყავი ის უდარდელი ბავშვი, შენ— იმ ჩონგურის პატრონი. ღმერთია მოწამე, მე ეს ამბავი არ გამომიგონია.

განა შენ არ შემაყვარე ქართული ჩონგურის სულზე უტკბესი ხმები?

განა შენ არ შემაყვარე შენი ნამზითვი „ვეფხისტყაოსნის“ სიტკბო?!

ვაიმე, შენმა სიკვდილმა ჩემი გული ისევე დაამსხვრია, როგორც ჩემმა სიყვარულმა შენი მტირალა ჩონგური.


უძილო ღამეების საშინელი მელანქოლიით დასეტყვილი დღე და ღამ ვფიქრობ, დედიკო, შენთვის.

სიხარული გაეყარა ჩემს სულს, დავმარტოხელდი — და არ მესმის, როგორ იქნება, რომ ჩემი ხმა შენ ვეღარ მოგწვდეს?

როგორ იქნება, ძვირფასო დედა, რომ ჩვენ გაგვთიშოს თუნდაც სიკვდილმა?

თბილისი, 1927 წელი.

კონსტანტინე გამსახურდიას შ. რუსთაველის პრემია მიენიჭა ტეტრალოგიისათვის „დავით აღმაშენებელი“. სურათზე ქვემოთ — მწერალი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად.



გარათი ჩილიდან

ძვირფასო ძმაო კონსტანტინე!

შენმა წერილმა შორეულ წარსულზე მოგონებანი აღმიძრა. გამახსენდა ქუთაისის ქართული გიმნაზია და მისი ცხოვრება, მოსკოვის უნივერსიტეტი, ბერლინი, სადაც ერთხელ კიდევ შევხვდით ერთმანეთს. მაშინაც იგივე საკითხი აღძარი, რომლის შესახებ ამ შენს პირველ წერილში მწერ. ვერ შევთანხმდით: შენ სამშობლოს მიუბრუნდი, მე — მის გარეშე დავრჩი. რამდენმა წელიწადმა გაიქროლა მას შემდეგ — 36! კაცის ცხოვრებაში ეს დიდი ნაკვეთია და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საბედისწერო მოხდა, და ბევრიც კარგი.

ქართული კულტურის განვითარებასა და ზრდას დიდი ინტერესითა და სიხარულით თვალყურს ვადევნებდი შეძლებისამებრ და არ ყოფილა შემთხვევა ან კალმით ან სიტყვით იგი ავად მომეხსენებიოს. პირიქით, თქვენ, ქართული კულტურის ყანაში მომუშავეთ გმირებად გთვლიდით, და ქების მეტი რა მეთქმოდა! განსაკუთრებით მაინტერესებდა ჩემი ძველი ნაცნობების ეს გმირული მოღვაწეობა და მათი წარმატება ყოველთვის მსიამოვნებდა, და პირველ რიგში, რასაკვირველია შენი...

ორი შენი წიგნი მივიღე და მყისვე წავიკითხე, რადგან ლოგინზე ვიყავი მიკრული ღვიძლის სნეულების გამო და ბევრი დრო მჭონდა. ბარაჭალა შენს კალამს, მაგრამ ამაზე საუბარს არ ვაგრძელებ, მეშინია: პირმოთნეობაში არ ჩამომერთვას. ჩემს სანახავად მოვიდა სენიორ გუსტავო დე ლა ტორრე, რომელთან ერთად დიდხანს ვმუშაობდ „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე თარგმნისათვის.

...ჰო, და, გავაცანი შენი წერილი ტორრეს და მან დიდი სიხარულით აღმითქვა „დიდოსტატის მარჯვენას“ თარგმანს გავასწორებ და შევავსებო, ამისი ინგლისური თარგმანი მან წასაკითხად წაიღო...

რაც საერთოდ წიგნის გამოცემას შეეხება, უნდა მოგახსენო, რომ დიდი გამომცემლები მხოლოდ მექსიკაში და თვით ესპანეთში არიან. ლათინური ამერიკა კულტურის მხრივ დიდად ჩამორჩენილია, თუმცა ურიცხვი პოეტები ჰყავს, და მათი მკითხველი მხოლოდ საზოგადოების ზედა წრეა, ხალხი უმთავრესად უანბანოა.

შენი წიგნის გამოცემა უფრო ადვილი იქნებოდა მექსიკაში, ან ესპანეთში, მაგრამ საამისოდ ხომ კავშირებია საჭირო! ამ მხრივ ვერ დაგაიმედებ, სავალალოდ. მაგრამ მაინც ვსწერ მიგითითო ერთ რამეზე: აქაც და სხვანაც არსებობს საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. ვნებ ამ გზით სცადო გამოცემის საკითხის აღძვრა, თუმცა დიდ იმედს ამაზე ვერ ვამყარებ.

ჩემს ამბავს კითხულობ? გადავეგე უცოლშვილოდ. ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავლა და ხეტიალი ცოლშვილის მოკიდებას ხელს არ უწყობს. ამას გარდა საერთოდ უცხოეთში ოჯახის შექმნას უაზროდ ვთვლიდი, რადგან ვხედავდი, რომ ქართული ოჯახის დამკვიდრება შეუძლებელი იყო ფრანგებისათვის ან გერმანელებისათვის ჩემი შვილების მიმატება კი არ მაინტერესებდა. თითქმის ყველა ოჯახში ბავშვები გადაგვარებული არიან, და ამ მხრივ სანუგეშო არაფერია. ჩემი ძმა გოგი პარიზში ცხოვრობს და ქართველი ქალი ჰყავს მეუღლედ, მაგრამ შვილები მაინც არ იყოლიეს და ვისაც, სხვას ჰყავდა, თითქმის ყველა გაფრანგდა. ეს ამბავი გასაგებია...

უკანასკნელი ომის დროს გერმანიაში ვიყავი. ვნახე, განვიცადე ყველა ჯოჯოხეთური საშინელება, რაც თანამედროვე ომს ახლავს. 1950 წლის დამდეგს სამხრეთ ამერიკაში ამოვყავი თავი, ჯერ ბუენოს აირესში ვცხოვრობდი და ბოლოს სანტიაგოში მოვხვდი, აქ ჩავრჩი... ალბათ აქვე ჩავყრი ძვლებს, მაგრამ ჯერჯერობით ბედს ვეურჩები კიდე და იმედი მაქვს შემდეგ ჩემს წიგნს „ვეფხისტყაოსანის“ ღმრთისმეტყველების შესახებ დავბეჭდავ.

შენი მარად პატივისმცემელი და მოყვარული ვიქტორ ნოზაძე.

ჭ. სანტიაგო, ჩილე.

---

*) ეს წერილი კ. გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილმა მკვლევარმა ვიქტორ ნოზაძემ გამოუგზავნა სანტიაგოდან.

მოიპოვა სამი პრიზი

ცნობილი კინორეჟისორი სერგეი გერასიმოვი გაზეთ „იზვესტიაში“ წერდა „ახლახან მივიღეთ ცნობა მოკლემეტრაჟიანი კინოკომედიის „ქორწილის“ წარმატების შესახებ საერთაშორისო ფესტივალზე ობერჰაუზენში. ეს სურათი საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის დიპლომანტმა მ. კობახიძემ დადგა. ამ სადიპლომო ნამუშევარმა პირველსავე გასინჯვაზე, აქ ჩვენში, მოგვხიბლა. ეს არის დამწყები რეჟისორის მნიშვნელოვანი მიღწევა. მ. კობახიძე უხვად არის დაჯილდოებული იუმორით, დაკვირვებული მხედველობით, კომედიური ხერხების გამოყენების ორიგინალობითა და თავისუფლებით“.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო 86 ქვეყნის მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ფესტივალის ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებს „ქორწილს“, რომელსაც ფესტივალის მთავარი პრიზი მიანიჭა. გარდა ამისა კინოჟურნალისტთა საერთაშორისო გაერთიანებამ იგი ფესტივალის საუკეთესო ფილმად ცნო და სპეციალური პრიზით აღნიშნა.

სპეციალური პრიზი მიაკუთვნა ქართველ კინემატოგრაფისტებს აგრეთვე საერთაშორისო ევანგელიკურმა კინოცენტრმა.

ფილმი „ქორწილი“ შექმნეს რეჟისორმა ნოდარ მანაგაძემ, როლებიც აგრეთვე სცენარისა და მუსიკალური გაფორმების ავტორია, ამალგაზდა ოპერატორმა ნ. სახოშვილმა (ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარია), მხატვარმა ბ. ამაღლობელმა, როლებს ასრულებენ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გ. ჯავახაძე (ვაჟი), სკოლის მოსწავლე ნ. ჭავთარაძე (ქალიშვილი), მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ე. ვეფრუაშვილი.

ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ აწყობს ადამიანი მომავლის გეგმებს, მას წარმოუდგენია, რომ ისინი აუცილებლად განხორციელდება, რომ ცხოვრებაშიც ისე იქნება, როგორც მას ჰქონდა დაგეგმილი. მაგრამ სინამდვილე სასტიკია, იგი აქარწყლებს ოცნებებს და ყველაფერი ხდება არა ისე, როგორც მას უნდოდა. მიუხედავად ამისა გმირი არ ჰკარგავს რწმენას ცხოვრებაში, იგი რჩება ისეთივე უბრალო, გულწრფელი და ალალ-მართალი, როგორიც იყო.

ეს მართლაც მშვენიერი კინოკომედიაა, რომელიც საოცარ სიხარულსა და კეთილ ღიმილს განიჭებთ. ამიტომაც საერთაშორისო კინოფესტივალზე შეკრებილმა კინოსპეციალისტებმა იგი ერთხმად აღიარეს ფესტივალის საუკეთესო ფილმად.

ქართული კინოკომედია — საერთაშორისო ფესტივალის საუკეთესო ფილმი.

იაპონური ფოტოენციკლოპედია

გასული წლის სექტემბერში საქართველოში ორი კვირა დაჰყვეს იაპონელმა ჟურნალისტებმა. ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობის ილუსტრირებული ჟურნალის რედაქტორმა ტოკუნაგამ და ფოტოკორესპონდენტმა.

იაპონელმა ჟურნალისტებმა ორი თვე იმოგზაურეს საბჭოთა კავშირში და სამშობლოში ჩასვლისას გამოსცეს 3-ტომიანი ფოტოენციკლოპედია — „საბჭოთა კავშირზე“.

ლამაზად გაფორმებულ სამტომეულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს. იაპონელებმა გადაიღეს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარე. ფერადი ილუსტრაციები, რომელსაც წამძღვარებული აქვს ტექსტი იაპონურ ენაზე, ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, კულტურას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი იაპონური გამოცემაა, რომელიც საქართველოს ეხება.

დაკვეთები საზღვარგარეთიდან

აბაშაში მუშაობს მექანიკური ქარხანა, რომელიც ძირითადად ავტომანქანა „კაზ-585“ მარკის სათადარიგო ნაწილებს ამზადებს.

ქარხანა უშვებს აგრეთვე საექსპორტო დეტალებს, რომლებიც ეგზავნება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ავღანეთს, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, ინდონეზიას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და სხვა ქვეყნებს.

წელს ქარხანამ უცხოეთის ქვეყნებიდან მიიღო ბევრი დაკვეთა მანქანების სათადარიგო ნაწილებზე. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს დროულად შეასრულოს ყველა დაკვეთა და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვას.

ხელოვნური გული

ამას წინათ ბირმის დედაქალაქ რანგუნის გაზეთმა „ვოიქინგ ფიფლზ დეილიმ“ თავის პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ვრცელი კორესპონდენცია სათაურით „ხელოვნური გული გაკეთებული საბჭოთა ქირურგის მიერ“, სადაც ვკითხულობთ:

„ხელოვნური გულის“ აპარატი, რომელიც შექმნა საბჭოთა ქირურგმა გ. ფირცხალავამ საო სენ ჰცუნის საავადმყოფოში, წარდგენილ იქნება ბირმის მე-13 სამედიცინო კონფერენციაზე. აპარატურა, რომელიც გამოიყენება გულის ქირურგიულ დაავადებათა სამკურნალოდ, ძირითადად დამუშავებული იყო საქართველოში გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს კ. დ. ერისთავის ხელმძღვანელობით“.

ჩვენი თანამემამულე გრიგოლ ფირცხალავა ერთი წელია, რაც ოჯახითურთ ბირმას გაემგზავრა ხელშეკრულებით და ახლა იქ მუშაობს. თბილისში იგი საქართველოს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემოტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტი ეწვია აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავს და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა გ. ფირცხალავას მიერ შექმნილი აპარატისათვის. აი რა თქვა აკადემიკოსმა:

—აპარატის სქემა გრიგოლ ფირცხალავამ ჯერ კიდევ 1961 წელს წარმოადგინა ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. შემდეგ დაამზადა კიდეც აპარატი, რომელსაც წარმატებით ვიყენებდით ცხოველებზე ოპერაციის დროს. ბირმაში გამგზავრების შემდეგ გ. ფირცხალავა განაგრძობდა აპარატის დახვეწაზე მუშაობას და როგორც ჩანს, სასურველ შედეგსაც მიაღწია.

აპარატს ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გულის ქირურგიისათვის. ეს არის ხელოვნური გული, რომელიც გულს ცვლის. გულზე ოპერაციის დროს ირთვება აპარატი, რომელშიც სისხლი ისევე გადამუშავდება, როგორც ჩვეულებრივ ორგანიზმში.

გულის ქირურგია ახლა აღმავლობის გზაზეა, საქართველოშიც ახლა მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ამ დარგში. თამამად შეიძლება ითქვას, — თქვა დასასრულს აკადემიკოსმა, — რომ ჩვენი თანამემამულის აპარატი ფართო მოხმარებას ჰპოვებს სამედიცინო პრაქტიკაში.

ნორჩ მხატვართა გამარჯვება

ამ დღეს თბილისის პიონერთა სასახლეში განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა. სასახლის თეთრ დარბაზში თავი მოეყარათ ბავშვებს, მშობლებს, მასწავლებლებს. კედლებზე გამოფენილი იყო მე-8 კლასის მოსწავლის მიტო გორდელაძისა და მე-10 კლასის მოსწავლის სოფო კინწურაშვილის ნახატები.

ნორჩ მხატვართა მსოფლიო კონკურსში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის ლიგამ მოაწყო, დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა მოსწავლეებმა მიტო გორდელაძემ და სოფო კინწურაშვილმა. მათმა ნახატებმა, რომლებიც ბავშვური დარბაზში თავი მოეყარათ ბავშვებს, მშობლებს, მასწავლებლებს. კედლებზე გამოფენილი იყო მე-8 კლასის მოსწავლის მიტო გორდელაძის კონკურსის ჟიურიმ ვერცხლის მედალი მიაკუთვნა ნამუშევრებისათვის „რეგბი თბილისში“, „ამერიკული კინოფილმი“ და „უკანასკნელი ცნობები“. სოფო კინწურაშვილმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ნახატებისათვის „ბებია“, „პეიზაჟი“ და „ცეკვა“.

ბავშვებს მიესალმა საქართველოს განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი. მედლები და ფასიანი საჩუქრები გადასცა თბილისში სპეციალურად ჩამოსულმა, სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველმა ჰელმუტ შლემმა.

— მინდა გუსურვო ჩვენს ბავშვებს, — თქვა ჰ. შლემმა, — რომ მათი ცხოვრების გზა მუდამ მშვიდობითა და ბედნიერებით იყოს გასხივოსნებული.

არამკითხაო მოამგეო...

რამდენი საამო ხმა იბნევა ეთერში საღამო ჟამს, როცა ადამიანი დასვენებისათვის არის განწყობილი, რამდენი ტკბილი ჰანგი და კეთილი სიტყვა ატკბობს სმენას!.. მაგრამ შიგა და შიგ ყორნის ჩხავილივით გაერევა გესლითა და ბოროტებით გამსჭვალული ხმები. რადიოს მსმენელი უმალ აბრუნებს მიმღების მისამართს და ეძებს კეთილსა და გულისგამხარებელ ხმებს...

მაგრამ ძალაუნებურად შეჩერდება ხელი, როცა მშობლიურ ქართულ ენას მოჰკრავ ყურს, შეჩერდები... თუმცა ზოგჯერ, ენა კი ქართულია, მაგრამ აზრები უკუღმართი, უცხო და უტიფარი... გული მოგდის: განა ამისი ღირსია რუსთაველისა და ილიას ენა, რომ გარეწართა სათარეშოდ გახდეს?! არა!.. მაგრამ ერთხელ მაინც მოვუსმინოთ ბოლომდე ამ აუტანელ და სამარცხვინო ბოდვას.

ეს იყო 8 მარტს. „თავისუფალი ევროპის“ მოლაპარაკებმა ჰოლანდიის რადიო-პოსტიდან, საბჭოთა საქართველოს ქალთა შესანიშნავ, გმირულ თაობას, მილოცვის ნაცვლად ამერიკის დაზვერვის სამზარეულოში შეთითხნილი პაროდია შესთავაზეს!...

ვინ არიან ეს გიორგი ტუსკია, ალექსანდრე ლორია და სხვები, სად იყვნენ, რას კითხულობდნენ, რას ჩმახავენ!..

ქართველი ქალის „დამონებული“ მდგომარეობით გულაჩუყებულნი ქართული ოჯახის „დაღუპვას“ გლოვობენ!..

...ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არცერთ უცხოელ სტუმარს ფეხი არ დაუდგამს ქართულ მიწაზე, რომ ქართველი ქალის მდგომარეობით, მისი მაღალი კულტურით არ აღფრთოვანებულიყოს: იყო ეს ამერიკელი გუბერნატორი კოლინსი თუ ინდოელი მეცნიერი ჩატერჯი, საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე მარსელ შაბან დელმასი თუ ინგლისელი ლედი ბაბორნი. სხვაც მრავალი ცნობილი ადამიანი წასულა დიდად კმაყოფილი ჩვენი ნაამაგარით, რომელშიც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართველ ქალს. ვისი აღზრდილია ეს ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელსაც განთლებითა და შრომისმოყვარეობით ბადალი არა ჰყავს, ვინ შეაუნერგა მათ სამშობლოს სიყვარული და თაყვანისცემა თავისი დიდი წინაპრებისა, თუ არა ქართველმა დედამ, ვინ დაულოცა გზა ჩვენს ახალგაზრდობას ბრწყინვალე მომავლისაკენ, თუ არა ქართველმა ქალმა!..

და ამ დროს ჰოლანდიიდან გაისმის: „თუ ცნობილი მწველავი მერი კვაჭანტირაძე 10-20 ძროხას სწველის, საინტერესოა ჰყავს თუ არა მას თვითონ „ძროხა“, — აი, სად გამოჩნდა ამ ვაჟბატონების უბადრუკი აზროვნება და უვიცობა! მერი კვაჭანტირაძე ორ წელზე მეტია აღარ მისდევს თავის საყვარელ საქმეს — ძროხის მოვლა-პატრონობას. ახლა იგი ამ დარგში სპეციალურ უმაღლეს განათლებას იღებს.

ჩვენ გვესმის უცხოეთში გადახვეწილი ბევრი თანამემამულის დუხჭირი ეკონომიური მდგომარეობა, ჩვენ უდიდესი პატივისცემის გრძნობით ვართ გამსჭვალულნი იმ ადამიანთა მიმართ, რომელნიც საკუთარი შრომით, ზოგჯერ მეტად მძიმე პირობებში პოულობენ ლუკმა პურს, მაგრამ თავის თავმოყვარეობასა და სინდისს არ ჰყიდიან დოლარებზე, არ ფარფაშობენ სამშობლოს დამცირებისა და შეურაცხყოფის ხარჯზე. პირიქით, დღეს, როცა სამშობლოსთან ფართო მასშტაბით განვითარდა კულტურული ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა, მრავალი მათგანი უკვე დატკბა აყვავებული სამშობლოს ხილვითა და მშვენებით, არ სჯობდა ტუსკია, ლორია და მათი კომპანიონები კეთილი სურვილებით სწვეოდნენ სამშობლოს და სხვებისათვის ეამბნათ მშობლიური მხარის სიკეთე და წარმატებები?!

...მაგრამ მაშინ ვინ გააჩერებდა ამ უქნარებს „თავისუფალი“ ხმების სამყაროში ვინ მისცემდა მათ საარსებო გროშებს?!

ნათელა ქავთარაძე.

ბ-7/24



„ჩართვლის დედაო! ძუძუ ჩართვლისა“...

სპორტული მიმოხილვა

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა დახიაში ოთხი ამხანაგური მატჩი გამართეს უძლიერეს საკლუბო გუნდებთან და ოთხივე მოიგეს. (19:15, 31:14, 23:17, 34:24). ხელბურთის სამშობლოს პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველ ხელბურთელებს და განსაკუთრებით გამოჰყო მეკარე ჯ. აბაიშვილი, თავდამსხმელები ჯ. ცერცვაძე, ი. ფხაკაძე და ა. ექსეულიძე, ახლა ჩვენი ხელბურთელები გაცხოველებით ემზადებიან საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურისათვის, რომელიც აპრილში დაიწყება ქალაქ კიევში.

წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სამთო მოთხილამურენი. საბჭოთა სპორტის ვეტერანმა კობა წაქაძემ კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი უძლიერესი ტრამპლინიდან მხტომელია. იგი წელს მესამეჯერ გახდა სოციალისტური ქვეყნების მოძმე არმიების ჩემპიონი. სასიხარულოა ახალგაზრდა სპორტსმენის ბაკურიანელი გ. აბრამიშვილის მიღწევა. ქართველ სპორტსმენთაგან იგი პირველია, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატში, სამჭიდის ჯამში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ინტენსიურად ემზადებიან ახალი სეზონისათვის თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები. მართალია საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონის რიგებს აკლია ს. მეტრეველი, მ. მესხი, და გ. სიჭინავა, რომლებიც იუგოსლავიაში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გადიან წვრთნას, მაგრამ დინამოელები მათ დანაკლისს, ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელების გამოცდით ავსებენ.

თბილისელებმა უკვე ჩაატარეს ამხანაგური საკონტროლო მატჩები ხარკოვის „ავანგარდთან“ (დაამარცხეს მეტოქე 1:0), ქუთაისის „ტორპედოსთან“ (1:1), ლენინგრადის „დინამოსთან“ (2:1) როსტოვის სკა-სთან (1:0). დაგმილია ახალი სეზონის დაწყებამდე (იგი 15 აპრილს დაიწყება) კიდევ რამდენიმე მატჩის გამართვა. ასევე ინტენსიურად ემზადებიან ახალი სეზონისთვის ქუთაისელი ფეხბურთელები. ახლა ისინი გაგრაში იმყოფებიან და გადიან საწვრთნელ შეკრებას. ქართველ ფეხბურთელთა პირველი მეტოქეები უკვე ცნობილია. 15 აპრილს „დინამო“ თბილისში შეხვდება ოდესის „ჩერნომორეცს“, ქუთაისელები კი ერევანთ მოედანზე მიიღებენ მინსკის „დინამოს“.

რამდენიმე დღის წინათ, ქალაქ თბილისის საზოგადოებრიობამ აღნიშნა მოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელ ქართველ ფეხბურთელთა პირველობის მეთაურის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის პაიჭაძის დაბადების 50 წლისთავი.

არა მარტო მთელმა რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ცენტრებმაც გამოგზავნეს მოსალოცი დეპეშები. ყველგან სამშობლოსა და უცხოეთის სტადიონებზე ახსოვთ ფეხბურთის დიდოსტატის „ფეხბურთის რუხოს“ გამოსვლები.

დიდია ბორის პაიჭაძის ღვაწლი არამარტო ქართული ფეხბურთის, არამედ საბჭოთა ფეხბურთის განვითარების ქმეში. იგი ახლა ლეგენდად არის ქცეული და დღესაც № 1 ფეხბურთელად არის აღიარებული საქართველოს ხალხს იგი უყვარს და პატივს სცემს. ჩვენი ბორია, ასე ეძახიან მას, ბორის პაიჭაძე თბილისის სპორტკლუბ „დინამოს“ დირექტორია.

მომავალ ნომერში, ჩვენო მკითხველებო, ვისაუბრებთ ხელბურთზე, ლათბურთზე, რომელთა ჩემპიონატი მალე კვირაში დამთავრდება, და ფეხბურთზე. მოგიყვებით თუ როგორ დეს სტარტი მარათონულ დისტანციაზე ქართველმა ფეხბურთელებმა.

ო. ლორთქიფანიძე.

დაგეძებენ, მოგველიან

დარჩიაშვილს თამაზ გიორგის-ძეს, დაბადებულს 1924 წელს, თბილისში, ეძებენ დედა — დარჩიაშვილი ქეთევან ნიკოლოზის ასული, და — დარჩიაშვილი ცირა, მცხოვრებნი თბილისში, გახტრიონის ქ. № 4.

პავლიაშვილს მიხეილ ზაქარიას-ძეს, დაბადებულს 1920 წელს, საბარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში, ეძებს და — პავლიაშვილი ნინო, მცხოვრები თბილისში, ჩულურეთის ქ. № 36.

გოგოლაძეს იოსებ სანდროს-ძეს, დაბადებულს 1902 წელს, წალვერში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ გოლოკიანში ნაცხოვრებს, ეძებენ მეუღლე — ვარა თედოს ასული გოგოლაძე, შვილები — ქსენია, მზია, ბიჭიკო, მცხოვრებნი ქ. თბილისში, გორგასალის ქ. № 71.

ღურგელეიშვილს ილია აბესალომის-ძეს, დაბადებულს 1910 წელს, სამტრედიის რაიონის სოფ. ეწერმელაურში, ეძებენ დედა — მარიამი, მეუღლე — მარიამი, შვილები — ნოდარ, ზაურ, რომან ღურგელეიშვილები (მცხოვრებნი სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერმელაურში), დები — ელენე და თამარ კახიანები, მცხოვრებნი ქ. თბილისში, ნატახტარის ქ. № 6.

სად ხარ, ძმაო ელიზბარ!

1941 წლის აპრილში ვაგიწვიეს წითელ არმიაში. ადგილზე ჩასვლისას მივიღეთ შენი ერთი წერილი. მაშინვე პასუხი გამოგიგზავნეთ, მაგრამ ამაოდ, წერილები უკანვე დაგვიბრუნდა. მას შემდეგ გამოვცქერით შენს გზას. ომის დაწყების შემდეგ აღარ მიგვიღია არავითარი ცნობა.

ომის დამთავრების შემდეგ შემხვდა ყვარელში შენი ამხანაგი, რომელმაც გვითხრა, რომ ნამდვილად ცოცხალი ხარ. ჯარში წასვლისას დატოვე მოხუცებული დედა, რომელიც დღესაც შენს გზას გამოყურებს და ასე ამბობს: ერთი იმდენი ვიცოცხლო, რომ ჩემი ელიზბარის ხმა გავიგონო. ნუთუ იმდენი სიბრალული აღარა გაქვს დედისა, რომ წერილით მაინც დაიმედო საყვარელი დედა?!

ზურაბი დაქორწინებულია, ორი შვილი ჰყავს — ქალ-ვაჟი. ცხოვრობს კარგად. მანანა გათხოვდა ყვარელში, ჰყავს ერთი გოგონა, რომელიც წელს ამთავრებს საშუალოს.

დავეძებთ ძმაო. იქნებ ჩვენთვის გამოიჩინო გულთბილობა და მოგვწერო წერილი. გავიგეთ ორი ბავშვიცა ჰყავხო. ყველა ახარებს ჩვენს გულს და მარტო შენზე ფიქრებით ვართ შეჭმულები. ძმაო, გენაცვალე, ახლა ადვილია წამოსვლა სამშობლოში. მოგვწერე წერილი, იქნება ჩვენ მაინც გამოვაგზავნოთ ვინმე და ამით დავწყნარდეთ ჩვენც და მოხუცებული დედაც. შენი გზისკენ მაყურებელი, შენი მოსიყვარულე და

თამარ გედიანიძე.

ქ. თბილისი, მარჯანიშვილის, 50.

ეს წერილი გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციაში **ელიზბარ ნიკოლოზის-ძე სეფაშვილის** (დაბადებული 1922 წელს, ყვარელში) უფროსმა და — **თამარ ნიკოლოზის ასულმა გედიანიძე-სეფაშვილმა** მოიტანა და გვთხოვა გაზეთში დაგვებეჭდა. ეგებ თქვენ მაინც დამეხმაროთ დაკარგული ძმის გზა-კვალის მიგნებაშიო.

ვასრულებთ მის თხოვნას. ელიზბარ, თუ ცოცხალი ხარ, ერთი წერილის გამოგზავნას ნუ დაიმადლი შენზე ფიქრით დასევდიანებულ დედას და და-ძმებს.



სურათზე: ე. ნ. სეფაშვილის დისშვილი მარინე.

რადიო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირას 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისაბართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 35